

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტი
სახვითი ხელოვნების დეპარტამენტი

პროგრამის სახელწოდება	მინანქარი
სტრუქტურული ერთეული	უწყვეტი განათლების ცენტრი
კოდი	CAf4
ECTS	20 კრედიტი: 1კრედიტის მოცულობა-25 სთ. 500 სთ. მინანქრის კომპოზიცია - 5 კრედიტი. 125 სთ. საკონტაქტო - 50 სთ. დამოუკიდებელი 75 სთ. CAf4c-1 მასალაში შესრულება - 15 კრედიტი. 375 სთ. საკონტაქტო - 150 სთ. დამოუკიდებელი 225 სთ. CAf4c-2
სწავლების ენა	ქართული
სასწავლო პროცესის საკადრო უზრუნველყოფა	მიხეილ კვაჭაძე, ასოცირებული პროფესორი. მობ: 593 710 293 e-mail: mikheilkvatchadze@gmail.com
დაშვების წინაპირობა	სრული ზოგადი განათლება
მიზანი	<p>ხელოვნების ეს დარგი გამოიყენება როგორც საეკლესიო, ისე საერო დანიშნულების ნივთებშიც – სამკაულები, ტანსაცმლის აქსესუარები, მოსაპირკეთებელი ნივთები და სხვა. ყოველი მათგანი მრავლადაა შემკული სხვადასხვა ორნამენტით. ქართული ორნამენტი სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელი იყო, რომელიც დასაბამს სავარაუდოდ წარმართულ ტრადიციებში იღებს. ქართული ტიხრული მინანქრის კოლორიტი განსხვავდება სხვა (მაგ., ბიზანტიური) ქვეყნების ტიხრული მინანქრისგან. ქართული მინანქრის ფერებს შორის თავისებურია ე.წ. ღვინისფერი და გამჭვირვალე მწვანე.</p> <p>ქართულ ხელოვნებაში უმთავრესად ტიხრული მინანქარია ცნობილი. ამოდრმავებული მინანქრის ერთადერთი ნიმუში, რომელიც ჯუმათის ეკლესიაში იყო დაცული, ამჟამად დაკარგულია.</p> <p>სასწავლო ბლოკის მიზანია მსმენელმა შეიძინოს ცოდნა და გაერკვეს ტიხრული მინანქრის მხატვრულ-ტექნოლოგიურ მხარეში, შეისწავლოს კომპოზიციის და მასალაში შესრულების ტექნიკა და ტექნოლოგია. გაეცნოს სამუშაო მასალებს და აითვისოს ხელსაწყო-იარაღების გამოყენების ხერხები, განსაზღვროს ამ დისციპლინის როლი დიზაინის განვითარებაში.</p> <p>სასწავლო კურსის გავლის შემდეგ მსმენელს დამოუკიდებლად უნდა შეეძლოს ესკიზებისა და მინანქრის დეკორირების შესრულება. საკონტაქტო საათები ეთმობა პრაქტიკულ მეცადინეობას, რომელიც გამოიხატება კურსის ტექნიკურ-ტექნოლოგიური ნაწილის დასაუფლებლად. დაუშვებელია პლაგიატი.</p>
ცოდნის შეფასების სისტემა	<p>მსმენელი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნით გამოცდას 40% (0-40 ქულა).</p> <p>სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება.</p> <p>დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“).</p> <p>სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან:</p> <p>დადებითი შეფასება:</p> <p>(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;</p> <p>ორი სახის უარყოფითი შეფასება:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მსმენელს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა</p>

	<p>დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მსმენელის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>მსმენელი “ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე:</p> <p>ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;</p> <p>ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.</p> <ul style="list-style-type: none"> ● FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“ -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ● შეფასების კონკრეტული მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.
<p>სწავლებისა და სწავლის მეთოდები</p>	<p>ევრისტიკული მეთოდი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; - პრაქტიკული მეთოდები; დისკუსია/დებატები; ჯგუფური მუშაობა; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; პრეზენტაცია; სტუდენტთა აქტივობები: ლექციაზე დასწრება, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკულ მუშაობაში მონაწილეობა; პრეზენტაციის მომზადება; დამოუკიდებელი მეცადინეობა; პრაქტიკა; წყაროზე და ტექსტებზე დამოუკიდებელი მუშაობა; ინტერნეტ-რესურსების დამოუკიდებლად მოძიება; გამოცდების მომზადება-ჩაბარება;</p> <ul style="list-style-type: none"> ● სალექციო და ჯგუფში მუშაობის საათების განაწილება მითითებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში.
<p>ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა</p>	<p>სასწავლო კურსის გავლა შეიძლება ინდივიდუალურად ან ჯგუფთან ერთად.</p>
<p>სწავლის საფასური</p>	<p>სწავლის საფასური განისაზღვრება საათის ღირებულების მიხედვით. 1 აკადემიური საათი 15 ლარი. ჯგუფთან ერთად კურსის გავლის შემთხვევაში 1 აკადემიური საათის ღირებულება შეიძლება განისაზღვროს დადგენილ ნორმაზე ნაკლები ოდენობით.</p>
<p>კურსის გავლის დამადასტურებელი მოწმობა</p>	<p>სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი</p>